



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიჭკიჭა



კიჭკიჭა

კიჭკიჭა (Crepis), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ერთ-ან მრავალწლოვანი ბალახია. ცნობილია 200-მდე სახეობა, რეზიც გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და აფრიკაში.

საქართველოში 12-მდე სახეობაა, მ. შ. 2 კავკასიის ენდემია. იზრდება ბუჩქნარში, ტყის პირებზე, დეკიანებში, სუბალპურ ტანბრეცილ ტყეში, ალპურ მდელოზე და სხვა. ზოგ სახეობას საქონელი ეტანება. *Crepis ciliata*-ს მინისზედა ნაწილები შეიცავს კაუჩუკს.
